



ეროვნული თავდაცვის აკადემია NATIONAL DEFENCE ACADEMY

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის,
განხორციელებისა და შეფასების წესი

ქ. გორი
2021 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში აკადემია), სამეცნიერო კვლევის და მხარდაჭერის მექანიზმების, კვლევის განხორციელების ზოგადი პოლიტიკისა და კვლევაში ჩართული აკადემიის პირადი შემადგენლობის განსაზღვრას.

2. აკადემიის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევაში ჩართულობა და კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ზრდა.

მუხლი 2. კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები

სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მხარდაჭერას უზრუნველყოფს აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელსაც თავისი დებულების თანახმად, ევალება აკადემიის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ხელი შეუწყოს აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდას, სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციას, არსებული კავშირების განვითარებას, უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან კავშირების დამყარებას.

ამ მიზნის მისაღწევად, კვლევითი ცენტრი უზრუნველყოფს:

- ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს: საკონფერენციო მასალების, სამეცნიერო შრომების და პროექტის შედეგების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში ახალი ლიტერატურის დამატების, სალექციო პროცესში ახალი ცოდნის იუნკრებისთვის გადაცემის გზით.
- დონორი ორგანიზაციების (ფონდები, კომპანიები და ა.შ.) მუშაობის პრინციპების და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის, ახალი საგრანტო კონკურსების შესახებ პერმანენტულად ინფორმაციის მოძიებას და აკადემიის პირადი შემადგენლობის საკონსულტაციო მომსახურებას საგრანტო პროექტების მომზადება-განხორციელების მიზნით.
- აკადემიის პირადი შემადგენლობისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკის, საკონკურსო პირობების გაცნობას და პროექტების მართვის საკითხებში კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარებას;

- სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და პროექტების განხორციელების მიზნით, საქმიანი კონტაქტების დამყარებას პარტნიორ ქვეყნებთან და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- საქართველოს სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობას, სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების და სიმპოზიუმების ორგანიზებას, იუნკერთა/მსმენელთა ჩართულობის უზრუნველყოფას, საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიებასა და მასში იუნკერთა/მსმენელთა ჩართვა/კოორდინაციას;
- აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების დახვეწის/გაუმჯობესების მიზნით;
- სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით აკადემიის თანამშრომლობის, იუნკერების/მსმენელების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობას;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიებას, მათში იუნკერთა/მსმენელთა ჩართვასა და კოორდინაციას;
- იუნკერთა/მსმენელთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას, ძირითად საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართული აქტორები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის ყველა სუბიექტი. მათ შორის:

- აკადემიური პერსონალი;
- მოწვეული პერსონალი;
- სამეცნიერო პერსონალი;
- ბაკალავრიატის იუნკრები;
- მაგისტრატურის იუნკრები;
- უმცროს ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის მსმენელები;
- აკადემიის პირადი შემადგენლობა.

მუხლი 4. სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა

აკადემია კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით, იყენებს აკადემიაში და თავდაცვის ძალებში არსებულ ფინანსურ, ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს. ამასთან, აკადემიას აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა ადგილობრივ თუ

საერთაშორისო დაწესებულებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას.

მუხლი 5. სამეცნიერო კვლევის შიდა და გარე გრანტით დაფინანსების სისტემა

აღნიშნული რეგულირდება „აკადემიაში გრანტების მართვის წესით“ და „აკადემიაში პირადი შემადგენლობის მიერ საგრანტო პროექტების დაგეგმვის, მოპოვებასა და განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ აკადემიის რექტორის 2021 წლის 11 თებერვლის 00000023 ბრძანებით.

მუხლი 6. კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერა

1. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით, აკადემია ზრუნავს პირადი შემადგენლობის ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე.
2. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი იღებს ვალდებულებას ინფორმაცია მიაწოდოს აკადემიის პირად შემადგენლობას ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, კონსულტაციები ჩაუტაროს დაინტერესებულ პირებს და დაეხმაროს სასურველი გრანტის განაცხადის შევსებაში.
3. აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობისა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით, აკადემია ახორციელებს ტრენინგებს შემდეგ თემატიკაზე:
 - სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაწერა;
 - სამეცნიერო გრანტის მენეჯმენტი;
 - სამეცნიერო აკადემიური უნარები.
4. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, აკადემია ზრუნავს მისი გამოცემების რეიტინგისა და სანდოობის ამაღლებაზე.

მუხლი 7. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ატესტაცია

აკადემიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს "პროფესორის ატესტაციის წესი", „სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ და „აკადემიის სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელო“.

მუხლი 8. კვლევითი კომპონენტის შეფასება

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების ინდიკატორებია:

- სამეცნიერო პუბლიკაციები სხვა გამოცემებში საქართველოში და საზღვარგარეთ;
- სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში;
- კვლევითი გრანტები;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები;
- ციტირებათა რაოდენობა.